განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ია მოსაშვილი, სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ია ნაცვლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ეკატერინე ბაკარაძე, შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

დავით კაკიაშვილი, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2023

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

1992 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ხელმძღვანელობის თხოვნის საფუძველზე, ჩამოყალიბდა საავიაციო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი. 2005 წელს, სამთავრობო დადგენილების საფუძველზე, აღნიშნული ინსტიტუტი გამოეყო ტექნიკურ უნივერსიტეტს და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტად. დღეისათვის უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პროფესიონალ პილოტთა და ავიასპეციალისტთა პრაქტიკული მომზადების მიზნით, უნივერსიტეტის მფლობელობაშია ქ.თელავში მდებარე აეროპორტი, სადაც ახორციელებენ ფრენებს სასწავლო თვითმფრინავებით, ხოლო თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ბაზაზე უნივერსიტეტს მფლობელობაში გააჩნია Boeing 737-200, საინჟინრო და სხვა ფრენისთვის მოსამზადებლად საჭირო საკითხების პრაქტიკულად ათვისებისათვის. ასევე, სსუ ფლობს სიმულატორებს. უნივერსიტეტს გააჩნია როგორც ქართულენოვანი ასევე ინგლისურენოვანი პროგრამები, რაც საშუალებას იძლევა რომ საავიაციო სფეროს პროფესიებს დაეუფლონ როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები.
უნივერსიტეტს გააჩნია 3 ფაკულტეტი: საფრენოსნო მომზადების, საინჟინრო და ბიზნესის ადმინისტრირების, ასევე, უწყვეტი განათლების მიღების მიზნით, ფუნქციონირებს საერთაშორისო საავიაციო ტრეინინგ ცენტრი.
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს ავტორიზაცია მიენიჭა 2021 წელს. უნივერსიტეტის პროგრამები აკრედიტებულია, ისინი ახორციელებენ 6 საბაკალავრო, 2 სამაგისტრო და ერთ სადოქტორო პროგრამას.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში სსოპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეიკრიბა ავტორიზაციის პირობების შესრულების შემფასებელი ექსპერტთა ჯგუფი 4 ექსპერტის შემადგენლობით. ექსპერთა ჯგუფმა ჩაატარა ერთი წინამოსამზადებელი ონლაინ შეხვედრა, სადაც განიხილეს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი წინა ავტორიზაციის დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულების ამსახველი მასალა და დაგეგმეს შემდგომი სამუშაო. იმის გამო რომ ეს შეფასება დაიგეგმა გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში, უნივერსიტეტს არ ევალებოდა თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენა. სსუ-დან გამოთხოვილ იქნა დამატებითი მასალა, რაც მოწოდებული იქნა სრულყოფილად და დროულად. 2023 წლის 22 ივნისს შედგა ინტერვიუები უნივერსიტეტის სხვადასხვა ჯგუფებთან ადგილზე, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის თბილისში მდებარე შენობაში. შეხვედრები დაორგანიზდა შეთანხმებულად, მიმდინარეობდა კოლეგიალურ რეჟიმში და ექსპერტებმა მიიღეს საჭირო ინფორმაცია მათ მიერ დასმულ შეკითხვებზე. ამავე დღეს მოხდა თბილისში არსებული მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერება. მეორე დღეს კი, 23 ივლისს, ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტით იმყოფებოდა თელავში მდებარე ბაზაზე, სადაც მოხდა იქ არსებული ინფრასტრუქტურის დათვალიერება, მათ შორის ანგარის და საფრენი აპარატების.
პროცესს თვალყურს ადევნებდა და მხარდაჭერას უცხადებდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2 სპეციალისტი, რომელთა ჩართულობა იყო სასარგებლო ექსპერტთა ჯგუფისათვის შეხვედრების ორგანიზებისა თუ სხვადასხვა საკითხებზე არსებულ კითხვებთან დაკავშირებით.
სსუ-მ მიმდინარე წლის 11 ივლისს წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ექპსერტთა ჯგუფის მიერ გაკეთებულ დასკვნის პროექტზე, სადაც ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს, რაც ამ სახით აღნიშნული დასკვნის წარმოდგენის საფუძველი გახდა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა წარმოადგინა 2021 წლის ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე მათი შესრულების შესახებ ინფორმაცია დამადასტურებელი დოკუმენტებით. რადგან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გეგმიური მონიტორიგი უწევდათ, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა ყველა სტანდარტთან მიმართებით უნივერისტეტის მიერ განვითარებაზე განხორციელებული აქტივობები და შემოწმდა დამადასტურებელი დოკუმენტები საანგარიშო პერიოდის ფარგლებში, რაც მოიცავს პერიოდს 2021 წლის 15 ივლისიდან დღემდე. შესაბამისად, წარმოდგენილ დასკვნაში დეტალურადაა განხილული საკითხები, სწორედ ამ მიდგომით.

რეკომენდაციები

- მეტი აკადემიური პერსონალის ჩართულობა ადგილობრივ თუ საერთაშორისო კვლევით გრანტებში;
- მიზანშეწონილია გაძლიერდეს მუშაობა მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოსაქვეყნებლად, რათა მიღწეულ იქნეს მეტი რაოდენობით აკადემიური პერსონალის ჩართულობა, Scopus-სა და Web of Science-ში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებსა თუ საკინფერენციო მასალებში მეტი რაოდენობით პუბლიკაციების გამოქვეყნება და პუბლიკაციების მაღალი ციტირების ინდექსების მოპოვება.

რჩევები

- სასურველია, გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები მარეგულირებელ დოკუმენტებში;
- სასურველია, ნაშრომის შეფასების დროს, პლაგიატის გამოვლენის პროცესში უსდ-ში განისაზღვროს მსგავსების დასაშვები კონკრეტული პროცენტული ოდენობა;
- ინტენსიურად განხორციელდეს ლაბორატორიული ბაზების ეტაპობრივი განახლება თანამედროვე რესურსებით, განსაკუთრებით ინჟინერიის მიმართულებით;
- დაწესებულების ვებ-გვერდზე საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი უნდა ასახავდეს ყველა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ძირითად ინფორმაციას, რომლის განახლება უნდა განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამებში შესული ცვლილებების შესაბამისად;
- კვლევითი საქმიანობის ეფექტურობისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით სასურველია, დადგინდეს მინიმალური მოთხოვნა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის (მინიმალური სამეცნიერო სტანდარტი), თუ რა ჩაითვლება დამაკმაყოფილებელ საქმიანობად დროის გარკვეულ პერიოდში (მაგალითად, დროის რა პერიოდში რა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების კომბინაციით უნდა იქნეს მოპოვებული კოეფიციენტის/საათების/ქულების და სხვ. მინიმალური რაოდენობა, რათა კვლევითი საქმიანობა დამაკმაყოფილებლად იქნეს მიჩნეული);
- სასურველია, გაიზარდოს კვლევების დაფინანსებაზე გამოყოფილი საბიუჯეტო თანხები;
- სასურველია ინჟინერიის მიმართულებით ლაბორატორიული ბაზების კიდევ უფრო გათანამედროვება;
- სასურველია ვებ გვერდის ინგლისურენოვანი გვერდის მეტად შესაბამისობა ქართულენოვან გვერდთან.

საუკეთესო პრაქტიკები

გარკვეული პერიოდულობით და საკუთარი ინიციატივით, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი განხორციელებული აქტივობების შესახებ ანგარიშს აწვდის დამსაქმებლებს, რაც მეტყველებს მათ მჭიდრო ურთიერთობებზე დამსაქმებლებთან. ამას ექსპერტთა ჯგუფი კარგ პრაქტიკად მიიჩნევს.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ია მოსაშვილი (თავმჯდომარე)
2. ეკატერინე ბაკარაძე (წევრი)
3. ია ნაცვლიშვილი (წევრი)
4. დავით კაკიაშვილი (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სსუ-ს მისიაში ცვლილებები შევიდა 2018 წელს და მას შემდეგ ფუნქციონირებს. მასში ნათლადაა წარმოჩენილი უნივერსიტეტის როლი, ხედვა და მიზნები როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე. მისია განთავსებულია ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. სხვადასხვა ჯგუფებთან შეხვედრებმა და წარმოდგენილმა მასალებმა დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები სწორედ ამ მისიის განმახორციელებელნი არიან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: -უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები; -საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები და მიღებული უკუკავშირები; -უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; -ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).

- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსუ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესამუშავებლად იყენებს მათ მიერ შედგენილ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიას, რომელმაც საბოლოო სახე მიიღო 2021 წლის თებერვალში. ეს მეთოდოლოგია არა მხოლოდ გეგმების შემუშავებას მოიცავს, არამედ მათი შესრულების შეფასებას და შედეგებზე დაყრდნობით მართვასაც. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი შედგება ფაზებისგან, რომლებიც თანმიმდევრულადაა ჩამოყალიბებული. ამ მეთოდოლოგიის გადახედვა ყოველ 5 წელიწადში ხდება. დოკუმენტში წარმოდგენილ 6 მოდელს, როგორც ხარისხის სამსახურის თანამშრომლებთან ინტერვიუდან ირკვევა, ისინი საჭიროების მიხედვით იყენებენ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ჩამოყალიბების დროს.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილი პროცედურის შესაბამისად, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს 2021-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, სსუ-ს განსაზღვრული აქვს პრიორიტეტები, ესენია: 1. ინსტიტუციური გაძლიერება, რომლის მიზნებია - ადამიანური რესურსების განვითარება, ეფექტური მართვის უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, იმიჯის პოპულარიზაცია; 2. საერთაშორისო პროფილის გაძლიერება, რომლის მიზნებია - საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება, საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია, კვლევის ინტერნაციონალიზაცია; 3. ხარისხის განვითარება, რომლის მიზანია - ხარისხის სისტემასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება, კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლება, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ამაღლება; 4. დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაძლიერება, რომლის მიზანია - დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო კომუნიკაცია, დაინტერესებული მხარეების ინტერესების შესაბამისი პროდუქტების/სერვისების განვითარება; 5. სასწავლო-საფრენოსნო ინფრასტრუქტურის განვითარება, რომლის მიზანია - სასწავლო-საფრენოსნო ინფრასტრუქტურის განახლება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, საფრენოსნო-სასწავლო ინფრასტრუქტურის გამართულობის კონტროლი.

თვითოეული ამ გეგმის შესრულების დეტალური აღწერა და ვადები გაწერილია 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმაში, ბიუჯეტის მითითებით.

წარმოდგენილი მასალების მიხედვით, სამოქმედო გეგმაზე განხორციელებულია მონიტორინგი, რომლის შედეგებიც აჩვენებს სტრატეგიული გეგმასთან შესაბამისობას, უნივერსიტეტის წინსვლას სტრატეგიულ პრიორიტეტებთან მიმართებით. უნივერსიტეტი მუშაობს ახალი 3 წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე, რომელიც დამტკიცდება 2023 წლის დეკემბერში.

ქვემოთ, დეტალურადაა აღწერილი უნივერსიტეტის მიერ სტრატეგიული გეგმის შემადგენელი მიზნებისათვის გაწეული აქტივობები, თუმცა განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სსუ ზრუნავს საავიაციო პარკის განახლებაზე, უცხოელი პერსონალის დამატებაზე, უცხოელი სტუდენტების მოზიდვაზე, სამეცნიერო გრანტების განხორციელებაზე, პერსონალის განვითარებაზე, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე, ხარისხის უზრუნველყოფასა და დამსაქმებლებთან მჭიდრო კომუნიკაციაზე.

ინტერვიუების შედეგადაც ნათლად ჩანს, რომ უნივერსიტეტი მიყვება სტრატეგიულ გეგმას და საანგარიშო პერიოდში (2021წლიდან დღემდე) ბევრი აქტივობა განხორციელა სწორედ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

-სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
-სტრატეგიული განვითარების გეგმა 2021-2027;
-სამოქმედო გეგმა 2021-2023;
-მმართველი საბჭოს ოქმი 2021;
-მმართველი საბჭოს ოქმი 2022;
-ვებ გვერდი;
-ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მეორე სტანდარტთან მიმართებით ავტორიზაციის ექსპერთა მიერ რეკომენდაციები არ გაცემულა. უსდ-ს სტრუქტურაში, მარეგულირებელ დოკუმენტში, მართვის პროცესში ცვლილებები არ განხორციელებულა. უსდ-ს მმართველი ორგანოებია მმართველი საბჭო და ფაკულტეტის საბჭო, რომლებიც დებულების, ასევე სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის შესაბამისად, ახორციელებენ მარეგულირებული დოკუმენტით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს. საბჭოების მუშაობაში მონაწილეობენ სტუდენტური თვითმმართველობის მიერ წარდგენის საფუძველზე დამტკიცებული სტუდენტები (თითოეულ სკოლაში 3 სტუდენტი, ასევე - მმართველი საბჭოს მუშაობაში ჩართულია 3 სტუდენტი). მართვის ორგანოებში როგორც არჩევის, ასევე დანიშვნისა და მუშაობის პროცედურა გამჭვირვალეა, რაც დასტურდება საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან ჩატარებული ინტერვიუირებით, ასევე წარმოდგენილი მტკიცებულებებით (სხდომების ოქმები). რაც შეეხება საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ აქტივობებს, ცვლილებებსა და მიღწევებს, შემდეგია: ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამებისთვის გამოაცხადა შესაბამისი კონკურსი და დაემატა 2 საერთაშორისო პერსონალი, გაფორმდა 4 საერთაშორისო თანამშრომლობის მემორანდუმი, 5 სტუდენტმა და 3 აკადემიურმა პერსონალმა მიიღო მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, უსდ-მ უმასპინძლა 5 საერთაშორისო სტუდენტს და 3 პერსონალს პარტნიორი უნივერსიტეტებიდან, სრულად დააფინანა 1 სტუდენტი საერთაშორისო სამიტზე მონაწილეობის მისაღებად. საავიაციო უნივერსიტეტის ფარგლებში 2023 წელს ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, დამატებით, სტუდენტებმა და პერსონალმა მიიღო

მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაები. სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, უსდ-ში სწავლობს 85 აქტიური სტატუსის მქონე საერთაშორისო სტუდენტი, გაფორმდა ხელშეკრულება 4 ახალ სააგენტოსთან, უნივერსიტეტის ბიუჯეჯტში გამოყოფილია შესაბამისი თანხა და დაგეგმილია სხვა განმავითარებელი აქტივობები საერთაშორისო დონეზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

უნივერსიტეტის სტრუქტურა;
სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები;
სამუშაოს აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
პერსონალის მართვის პოლიტიკა;
ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების დაკავების წესი;
საქმისწარმოების წესი;
გაცვლითი პროგრამების მონაწილე პირების სტატისტიკური მონაცემები;
სხდომის ოქმები;
საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში გაფორმებული მემორანდუმები.

რეკომენდაციები:

რჩევები:

-სასურველია, გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები მარეგულირებელ დოკუმენტებში.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოქმედებს საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციების (ICAO, EASA) სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია როგორც ეროვნული, ასევე საავიაციო სექტორის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმოადგინა უნივერსიტეტში დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ჩატარებული პერსონალისა და სტუდენტების შეფასების მონიტორინგის შედეგები, დადგენილი შეფასების ინდიკატორებისა და კრიტერიუმების გამოყენებით. ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ისაუბრეს იმ მექანიზმებზე, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტში პროცესების დაგეგმვას, შეფასებას, სწავლება-სწავლის პროცესის მონიტორინგსა და ანალიზს, მუდმივ განვითარებას, სხვადასხვა პროცესის კოორდინაციას და სხვა.

ხარისხის უზრუნველყოფის კიდევ ერთი მექანიზმია კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან მჭიდრო კავშირების შენარჩუნება, რაც დასტურდება როგორც გამოკითხვების შედეგებით, ასევე სხადასხვა სამიზნე აუდიტორიასთან ჩატარებული ინტერვიუირებით. უსდ-ში ყოველი წლის ბოლოს ტარდება შეხვედრები დამსაქმებლებთან, რომლის ფარგლებშიც ადმინისტრაციის წარმომადგენლები აკეთებენ პრეზენტაციას დამსაქმებლების მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ.

უსდ-ში საქმისწარმოების სისტემა, დოკუმენტბრუნვა ელექტრონულად ini.ge პლატფორმის მეშვეობით ხორციელდება. საანგარიშო პერიოდში პლატფორმას საჭიროების შესაბამისად, დაემატა და დაინტეგრირდა სხვადასხვა მოდული, რითაც გამარტივა საქმისწარმოების პროცესი. ინფორმაციის გაზიარების ძირითადი წყარო საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან არის ვებ-გვერდი და ელექტრონული ფოსტა.

უსდ-ს ადმინისტრაციამ მოიკვლია სტუდენტების მიერ სტატუსის შეჩერების მიზეზები, რაც ძირითადად განპირობებულია აკადემიური მოსწრების დაუძლევლობით, უცხოეთში სწავლის გაგრძელებით. სტუდენტთა სტატუსის შეჩერების შესამცირებლად დაგეგმა ხელშემწყობი მექანიზმები - სწავლის თანხის გადავადება, სასწავლო შეღავათები. სტუდენტის საჭიროებიდან და ასევე პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხდება სტუდენტის დატვირთვის შეცვლა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეთავაზება. უსდ-ს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ტერა ბანკთან, რომლის ფარგლებში შეთავაზებულია სტუდენტური სესხი, რომელსაც სტუდენტი იხდის სწავლის დასრულების შემდეგ.

საანგარიშო პერიოდში გათვალისწინებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში ყველა პროცესი და პროცედურა შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

დებულება
პერსონალის მართვის პოლიტიკა;
სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხოციელებული შეფასებების შედეგები (საანგარიშო პერიოდში).
სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი;
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი.

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მიზნით უსდ-ში მოქმედებს „პლაგიატის გამოვლენისა და მასზე რეაგირების მექანიზმები“, რომელიც ითვალისწინებს პლაგიატის გამოვლენის, რეაგირების პროცედურებს და შესაბამის წესებს. უსდ-ს გაფორმებული აქვს მემორანდუმი პოლონურ ელექტრონულ პლატფორმასთან “Strike Plagiarism”, რომლის ფარგლებშიც პლაგიატზე შემოწმებას ექვემდებარება სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები, ასევე სამეცნიერო სტატიები. პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, საბაკალავრო პროგრამების ფარგლებში, სასწავლო კომპონენტში არ არის გათვალისწინებული საბაკალავრო ნაშრომები და შესაბამისად, არ ფასდება. უნივერსიტეტში მოქმედებს მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც პლაგიატის გამოყენების შემთხვევებს განიხილავს. დაწესებულებამ წარმოადგინა სტატისტიკა პლაგიატზე შემოწმებულ ნაშრომებზე, რომლის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში პლაგიატზე შემოწმდა 22 ნაშრომი. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ჩატარებული ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ როგორც ადმინისტრაცია, ასევე პერსონალი იზიარებს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს და რაიმე დარღვევა ან საშივარი მსგავსი მიმართულებით არ გამოვლენილა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ეთიკის კოდექსი; შინაგანაწესი; პლაგიატის გამოვლენისა და მასზე რეაგირების მექანიზმები ხელშეკრულება პლატფორმასთან “Strike Plagiarism“ (#01/23, 01.11.2022); სტატისტიკა პლაგიატზე შემოწმებულ ნაშრომებზე; ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები: -სასურველია, ნაშრომის შეფასების დროს, პლაგიატის გამოვლენის პროცესში უსდ-ში განისაზღვროს მსგავსების დასაშვები კონკრეტული პროცენტული ოდენობა.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია და ხორციელდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით (იხ, ვებ გვერდი https://ssu.edu.ge/%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%a1%e1%83%ac%e1%83%90%e1%83%95%e1%83%9a%e1%83%9d-%e1%83%9e%e1%83%a0%e1%83%9d%e1%83%aa%e1%83%94%e1%83%a1%e1%83%98%e1%83%a1-

%e1%83%9b%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%92%e1%83%a3/ მონახულების თარიღი 2/07/2023), კერძოდ:

დაწესებულების დებულება;

დაწესებულების შინაგანაწესი;

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;

საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურა;

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სტრატეგიული გეგმა;

გამოცდების ჩატარების წესი;

საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის მარეგულირებელი წესი;

პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურები;

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის დებულება;

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;

პლაგიატის გამოვლენისა და პრევენციის მექანიზმი;

ეთიკის კოდექსი;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია,

სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმი,

სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგი,

დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება;

აკადემიური კალენდარი.

დაწესებულებისათვის 2021 წელს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რჩევა: „...(სტანდარტი 3.1) რჩევა იქნება, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა მუდმივად გაზარდოს პროგრამის შეფასებაში კურსდამთავრებულთა ჩართულობა იმ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთაც კურსდამთავრებულთა დასაქმების შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვთ.“ რჩევის გათვალისწინების მიზნით დაწესებულება პერიოდულად ახენდა კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევას, წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა ბოლო პერიოდში ჩატარებული კმაყოფილების კვლევის ანგარიში.

დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან და ადმინისტრაციულ/აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების პროცესი არის თანამონაწილეობითი ხასიათის. დაინტერესებული მხარეები ჩართული არიან ამ პროცესში. უნივერსიტეტმა წარმოადგინა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანგარიშები. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, ჩართულნი არიან სამოქალაქო ავიაციის მარეგულირებელი ორგანოებიც, მაგალითად. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულების ვებ-გვერდი https://ssu.edu.ge/ ;
- სასწავლო პროცესის მარეგულერებელი დოკუმენტები;
- საგანმანათლებლო პროგრამების სია;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ანგარიში;
- სტუდენტთა გამოკითხვის ანგარიშები;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანგარიში;
- პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციულ/აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;

- ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

რეკომენდაციები:

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტი აერთიანებს 3 ფაკულტეტს: საფრენოსნო მომზადების ფაკულტეტი, საინჟინრო ფაკულტეტი და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი. პროგრამები ხორციელდება ქართულ და ინგლისურ ენებზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების სიის მიხედვით დაწესებულებას აქვს 15 საგანმანათლებლო პროგრამა: 10 საბაკალავრო, 4 სამაგისტრო და 1 სადოქტორო პროგრამა. საგანმანათლებლო პროგრამების უმრავლესობა აკრედიტებულია 2020 და 2021 წლებში. 15 პროგრამიდან 5 პროგრამა არააკრედიტებულია (4 ინგლისუერენოვანი და 1 ქართულენოვანი პროგრამა). დაწესებულებაში სულ 4 არააკრედიტებული ინგლისურენოვანი პროგრამა მოქმედებს. ინგლისურენოვანი პროგრამები ქართულენოვანი პროგრამების ანალოგიურ პარალელურ პროგრამებს წარმოადგენენ, შესაბამისად, დაწესებულებაში ირიცხებიან უცხოელი სტუდენტები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თითოეულ პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის ამსახველი ჩამონათვალის მიხედვით დაწესებულებაში სტუდენტები სწავლობენ 12 საგანმანათლებლო პროგრამაზე (სულ აქტიური სტატუსის მქონე-709 სტუდენტი, შეჩერებული სტატუსის მქონე-297 სტუდენტი).

დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფისთვის წარდგენილი იყო 13 საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსების პაკეტი (წარმოდგენილი არ ყოფილა „ფინანსების“ საბაკალავრო და „ავიაციის ფინანსების“ სამაგისტრო პროგრამების სილაბუსების პაკეტები). წარმოდგენილი პროგრამებისა და სილაბუსების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ECTS - კრედიტების სისტემის სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით.

დაწესებულებისათვის 2021 წელს აბტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო შემდეგი რჩევები:

- „... (სტანდარტი 3.2) ექსპერტთა რჩევაა, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა განაახლოს პროგრამების კატალოგი და პროგრამების აღწერილობაში მოცემული ინფორმაცია სასწავლო წლის ხანგრძლივობის შესახებ, საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

- (სტანდარტი 3.2) ექსპერტთა რჩევაა, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა შეასწოროს საბაკალავრო პროგრამა „საფრენი აპარატების დაპროექტება და წარმოება“ ახალი კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2016 წელს და მისი აკრედიტაციის ვადა ჯერ არ ამოწურულა...“

დაწესებულებაში წინა ავტორიზაციის ექსპერტთა რჩევების გათვალისწინების კუთხით ქმედებების განხორციელება მიმდინარე პროცესია: დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (იხ. ვებ-გვერდი chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://ssu.edu.ge/wp-content/uploads/2023/06/2023-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98.pdf ;

მონახულების თარიღი 2/07/2023), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კატალოგში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად განთავსებულია ინფორმაცია მხოლოდ 9 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს ავტორიზაციის მიღებიდან დღემდე ცვლილებები შევიდა საგანმანათლებლო პროგრამებში, რადგან შეიცვალა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის რეგულაციები/მოთხოვნები, რომელიც თავის მხრივ მიყვება ევროპულ რეგულაციებსა და მოთხოვნებს. შესაბამისად, დაწესებულებამ განაახლა სილაბუსებში ლიტერატურა, თემატიკა და სხვ. ამასთან, საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ წარსადგენი ჰქონდათ ანგარიში, შესაბამისად, პროგრამა განახლდა იმ რჩევების და რეკომენდაციების მიხედვით რაც განსაზღვრული იყო აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ.

იმ მატერიალური რესურსების დათვალიერების შემდეგ, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად, ექსპერტთა ჯგუფი სასურველად მიიჩნევს, რომ უფრო ინტენსიურად უნდა გაგრძელდეს შემდგომში ლაბორატორიული ბაზების ეტაპობრივი განახლება თანამედროვე რესურსებით, განსაკუთრებით ინჟინერიის მიმართულებით.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის მეშვეობით უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების შესაბამისად მათ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულების ვებ-გვერდი https://ssu.edu.ge/ ;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები;
- საგანმანათლებლო პროგრამების სია;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ანგარიში;
- სტუდენტთა გამოკითხვის ანგარიშები;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანგარიში;
- პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციულ/აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
- ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

რეკომენდაციები:

რჩევები:

- ინტენსიურად განხორციელდეს ლაბორატორიული ბაზების ეტაპობრივი განახლება თანამედროვე რესურსებით, განსაკუთრებით ინჟინერიის მიმართულებით.

- დაწესებულების ვებ-გვერდზე საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი უნდა ასახავდეს ყველა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ძირითად ინფორმაციას, რომლის განახლება უნდა განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამებში შესული ცვლილებების შესაბამისად.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, მიღწევადი და გაზომვადია, ასევე, შეესაბამება კვალიფიკაციის კონკრეტულ საფეხურს, დაყოფილია ეროვნული კვალიფიკაციები ჩარჩოს კვალიფიკაციის აღმწერით გათვალისწინებული სამი კომპეტენციის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში, გათვალისწინებულია დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებები.

დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასებისას ითვალისწინებს, როგორც პირდაპირ (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონაცემთა ანალიზი), ისე არაპირდაპირ (სტუდენტთა გამოკითხვა და შეხვედრები) შეფასების შედეგებსაც.

სასწავლო და საგამოცდო პროცესის მარეგულირებელი წესები განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე. სტუდენტთა შეფასების ელექტრონული სისტემები და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პლატფორმა გამოიყენება იმისათვის, რომ სტუდენტებს აცნობოს დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემისა და მასთან დაკავშირებული რეგულაციების შესახებ, ასევე თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კრიტერიუმების შესახებ. დაწესებულება უზრუნველყოფს თანაბარ და სამართლიან მიდგომას სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასებისას, არსებობს სტუდენტის მიერ შეფასების გასაჩივრების შესაბამისი მექანიზმი. სადოქტორო პროგრამებთან დაკავშირებული სპეციფიური მახასიათებლები და პროცედურები რეგულირდება დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულების ვებ-გვერდი https://ssu.edu.ge/ ;
- სასწავლო პროცესის მარეგულერებელი დოკუმენტები;
- საგანმანათლებლო პროგრამების სია;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ანგარიში;
- სტუდენტთა გამოკითხვის ანგარიშები;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანგარიში;
- პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანგარიში;

○ დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციულ/აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები; ○ ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში მოქმედებს „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, „აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის დაქირავების წესი“, „უნივერსიტეტის აფილირების წესი“, რომლებშიც გათვალისწინებულია პერსონალის მართვის ზოგადი წესები და კლასიფიკაცია; პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მათი არჩევის პროცედურებს; კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნების მექანიზმები; პერსონალის პროფესიული განვითარების მიდგომები და სტრატეგიები; სამუშაო გარემოსა და შიდა კომუნიკაციაში ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის პროცედურა; სამუშაოს ანაზღაურებისა და

წახალისების პრინციპები, სამუშაო დატვირთვა და მისი შესრულების შეფასება, პერსონალის საქმიანობის შესრულების შეფასების შედეგების მართვა; საგანმანათლებლო და სამეცნიერო საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართვის პრინციპები და სხვა.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, ინტერვიუირებისას წარმოადგინეს საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია. პერსონალთან დაკავშირებით ცვლილებება შეეხო როგორც მოწვეული, ისე აკადემიური და აფილირებული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, რაც შესაბამისი პროპორციულობით გაიზარდა. აღნიშნული დაადასტურა როგორც აკადემიურმა, ასევე მოვწეულმა პერსონალმა.

დაწესებულებამ წარმოადგინა საანგარიშო პერიოდში ჩატარებული პერსონალის ატესტაციის შედეგები. შედეგების განხილვამ დაადასტურა, რომ ატესტაციას დაქვემდებარებული პერსონალის კვალიფიკაციები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულების ვებ-გვერდი https://ssu.edu.ge/;
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- აფილირების წესი;
- ატესტაციის ჩატარების წესი და პერსონალის ატესტაციის შედეგები;
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის დასაქმების წესი;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ინტერვიუები აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა რეგულირდება საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის აკადემიური სამუშაო დატვირთვის წესით. დატვირთვის სქემა მოიცავს საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა საქმიანობებს: ლექციებს, პრაქტიკულ და ლაბორატორიული მუშაობას, შუალედურ და დასკვნით გამოცდებს, საკურსო ნაშრომს, სილაბუსის შექმნას, საავტორო სახელმძღვანელოს გამოცემას და/ან თარგმნას, რიდერების ან/და მეთოდოლოგიური გზამკვლევის მომზადებას; სტაჟირების ორგანიზებას, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობას, საკვალიფიკაციო ნაშრომების განხილვას, სხვადასხვა კომისიების წევრობას, საგრანტო განაცხადების მომზადებასა და ჩაბარებას, ფაკულტეტის საბჭოს დახმარებას, მონოგრაფიების, კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნებას, კვლევითი ნაშრომის რედაქტირებას, კვლევით კონფერენციაზე პრეზენტაციის ჩატარებას და ა.შ.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა ექვემდებარება განახლებას ყოველ სემესტრში და ფასდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის სამსახურებს აწვდის ინფორმაციას. უნივერსიტეტის აკადემიური სამუშაო დატვირთვის წესი ითვალისწინებს, აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას და მხედველობაში იღებს სტუდენტთა რაოდენობას თითოეულ სასწავლო პროგრამაზე, ასევე ამ პროგრამების სპეციფიურობას. საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ, ადმინისტრაციულ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პერსონალის დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ დაწესებულების ვებ-გვერდი https://ssu.edu.ge/; ○ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა; ○ აფილირების წესი; ○ აფილირებულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში; ○ აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი; ○ აკადემიური დატვირთვის წესი; ○ ინტერვიუები აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საქართველოს საავიაციო უნივერისტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესები. მარეგულირებელი წესის მე-13 მუხლში განსაზღვრულია სტუდენტთა მობილობის, შიდა მობილობის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები, წესები გამჭვირვალეა, სამართლიანია და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის. სტუდენტებთან ვიზიტის დროს გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ყველა მათთვის საჭირო ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე, საჭიროებისას მათ შეუძლიათ მიმართონ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და ფაკულტეტებს სადაც მიიღებენ სასურველ ინფორმაციას. აღსანიშნავია რომ, სტუდენტებს არ ჰქონდათ ინფორმაცია მობილობის პროცედურების შესახებ რადგან მათ არ დასჭირვებიათ აღნიშნული, მაგრამ განაცხადეს რომ საჭიროების შემთხვევაში ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია.

დაწესებულებიდან გამოთხოვილ იქნა უნივერსიტეტსა და სტუდენტს(სამივე საფეხური) შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები, რომელიც იცავს სტუდენტის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ინტერვიურების პროცესში სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ სწავლის დაწყებამდე საინფორმაციო შეხვედრაზე განემარტათ მათი უფლებები და უნივერსიტეტი ზრუნავს მათი კანონიერი ინტერესების დაცვაზე.

უნივერსიტეტი იცავს სტუდენტების უფლებებსა და კანონიერი ინტერესებს, იხილავს სტუდენტების საჩივრებს აკადემიური და პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით. ფაკულტეტის წამომადგელნობით საბჭოსთან გასაუბრებისას აღინიშა გარკვეული დარღვევების და ეთიკის საკითხების განხილვის პროცესი, ასევე ახსენეს სტუდენტების საჩივრის შედეგად ლექტორების შეცვლის შემთხვევები. სტუდენტს გამოცდების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ უფლება აქვს გაასაჩივროს მისთვის მიუღებელი შეფასება. აღნიშნული უფლების რეალიზაციის მიზნით, სტუდენტი უნივერსიტეტს მიმართავს საჩივრით შედეგების ბაზაში ასახვიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა.

ინტერვიუს დროს სტუდენტების განცხადებით უნივერსიტეტის მხარს უჭერს სტუდენტებს ყველა მიმართულებით და აწვდის ინფორმაციას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის და სხვა პერსონალის მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვიზიტზე ჩატარებული გასაუბრებების შედეგები;
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დებულება;
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სოციალურად-მოწყვლადი-ჯგუფების-მხარდამჭერი-მექანიზმები;
- სტუდენტების-უფლებებისა-და-კანონიერი-ინტერესების-მხარდაჭერის-მექანიზმები;
- სტუდენტური გზამკვევები;
- განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://ssu.edu.ge/;

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებსა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე. ვიზიტის დროს გასაუბრებისას სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღინიშნეს, რომ ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი ორიენტირებულია სტუდენტის საჭიროებებზე, დაგეგმილი საკონსულტაციო თუ აკადემიური შედეგების გაუმჯობესებისათვის კომუნიკაცია მუდმივად ხორციელდება. ორგანიზებულია სტუდენტური ელექტრონული სივრცე ini.ge, სტუდენტური პორტალი ხელმისაწვდეომია როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე. ასევე, სტუდენტებისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, მაგალითად: გზამკვლევი-სტუდენტთათვის; პორტალით-სარგებლობის-გზამკვლევი.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დასაქმებისა და კარიერული განვითარების სტრატეგია, რომლის შესრულებას უზრუნველყოფს დასაქმების და კარიერული განვითარების მენეჯერი. სტუდენტებს რეგულარულად ეგზავნებათ დასაქმების შესახებ ინფორმაცია. ვიზიტის დროს სტუდენტებთან გასაუბრებისას აღინიშნა, სტაჟირების პროგრამები რომლის შემდგომაც სტუდენტები საქმდებიან სხვადასხვა ორგანიზაციებში. ასევე, ინტერვიუში მონაწილე ყველა კურსდამთავრებული საკუთარი მიმართულებითაა დასაქმებული და თვითონაც აქტიურად არის ჩართული სტუდენტების მიზიდვით საკუთარ ორგანიზაციებში. უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, რომლებთანაც გასაუბრებისას აღნიშნა სტუდენტების თეორიული და პრაქტიკული მომზადების მაღალი დონე, ასევე, ევროპასთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესმა და რეგულაციების შემოღებამ ხელი შეუწყო მაღალი კვალიფიკაციის სტუდენტების გაზრდას. დამსაქმებლებმა გამოარჩიეს სტუდენტები და დაასახელეს თავიან ორგანიზაციებში დასაქმებული სტუდენტების რაოდენობა: სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დასაქმებულთა 25% საავიაციო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია; „ჯეოსქაი“ - 10 სტუდენტია დასაქმებული; „საქაერონავიგაცია“, - ხდება სტუდენტების ტექნიკური მიმართულებით დასაქმება/პრაქტიკები; „ლასარე“- კოორდინაციით შეიქმნა რამოდენიმე სასწავლო კურსი; „ტავ ჯორჯია“ ატარებს დასაქმების ფორუმებს, სადაც უნივერსიტეტი მუდმივადაა მიწვეული. აღსანისნავია, რომ საავიაციო უნივერსიტეტის პროგრამებს დამსაქმებლების რეკომენდაციით დაემატა ტექნიკური ინგლისურის კურსი.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური თვითმართველობა რომელის უფლებამოვალეობები რეგულირდება სტუდენტური თვითმართველობის დებულებით. სტუდენტური თვითმმართველობა აირჩევა საყოველთაო,

თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 2 წლის ვადით არჩეული 15 წევრისაგან. უნივერსიტეტი აქტიურად უჭერს მხარს სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივებს. თვითმართველობის ორგანიზებით სტუდენტები ჩართულნი არიან სხვადასხვა სპორტულ, კულტურულ და სამეცნიერო აქტივობებში. უნივერსიტეტში მოქმედებს სხვადასხვა სტუდენტური კლუბები როგორიცაა: ავია კლუბი; დრონების კლუბი.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებს საერთაშორისო მობილობასა და სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობებს და უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ხუთი სტუდენტი იყო წასული გაცვლითი პროგრამით და მოხდა ხუთი საერთაშორისო სტუდნეტის მიღება. სტუდენტები ჩართული არიან სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში, მაგალითად: ათი სტუდენტი ზაფხულში მიემგზავრება საზაფხულო სკოლაში ვარშავის უნივერსიტეტში; იკაოს სამიტზე ერთი სტუდნეტი - საქართველოს ავიაცია ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე. აღინიშნა, თანამშრომლობა ვილნიუსის ტექნიკურ უნივერსიტეტთან, ჟიშეუს ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამეცნიერო კველევითი ცენტრი, მზარდია სტუდენტების მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, ვიზიტამდე ერთი კვირით ადრე, 8-9 ივნისს გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია. უნივერსიტეტმა მოიპოვა რამოდენიმე ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტი, რომლებშიც როგორც ახალგაზრდა მეცნიერები მონაწილეობენ სტუდენტები. ვიზიტისას დასახელდა რამოდენიმე მათგანი: საავიაციო ტერმინთა ლექსიკონის შემუშავება, რუსთაველის საგრანტო კონკურსი, ასევე USAID-ის გრანტი. ასევე, მართველობითი საბჭოზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება მოეწყოს ახალი ლაბორატორიები ახალ კორპუსში, სხვადასხვა პრაქტიკული და სამეცნიერო სამუშაოებისათვის.
სტუდენტები და კურსდამთავრებულები რეგულარულად იღებენ მონაწილეობას გამოკითხვებში, მათი განცხადებით ეს ღონისძიებები მიმართულია უნივერსიტეტის განვითარებისა და ხარისხის ამაღლებაზე.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა წახალისების და სასტიპენდიო პროგრამები, ასევე სახელობითი სტიპენდიები, მაგალითად, ვიზიტისას აღინიშნა თურქეთის ავიახაზების თერთმეტი სტუდენტის დაფინასება კონფერენციისათვის.
გასაუბრებეზე აღინიშნა, რომ ბევრ სტუდენტს უწევს სწავლების შეჩერება სხვადასხვა მიზეზის გამო, მათ შორის ფინანსური მიზეზების გამო. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს აქვს სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმი. რომელიც მოიცავს ფინანსურ სწავლის საფასურის გადახდის გეგმებს, ასევე სწავლის საფასურისგან ნაწილობრივ ან სრულად გათავისუფლებას და სხვა. ინსტიტუცია მუდმივად უკავშირდება სტატუს შეჩერებულ სტუდენტებთან, რათა მოხდეს მათი ინტერესების გათვალისწინება და ხელშეწყობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვიზიტზე ჩატარებული გასაუბრებების შედეგები;
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დებულება;
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სტუდენტური-თვითმმართველობის-დებულება;
- სოციალურად-მოწყვლადი-ჯგუფების-მხარდამჭერი-მექანიზმები;
- დასაქმების-და-კარიერული-განვითარების-სტრატეგია;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://ssu.edu.ge/;

რეკომენდაციები:

რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: საანგარიშო პერიოდში სსუ-ს სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურება ნათელია. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია უნივერისტეტის სამეციერო კვლევით ცენტრის საქმიანობიდან გამომდინარე. წარმოდგენილ სამუშაო გეგმაში, ჩანს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ შესასრულებელი სამუშაოები 2022-2027 წლებში. დღეისათვის, მუშაობა განხორციელდა როგორც ფუნდამენტურ, ასევე გამოყენებით კვლევებზე. მიმდინარე პერიოდში მათი სამეცნიერო საქმიანობა ძირითადად მიმართულია საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების შესრულებაზე, იგეგმება შიდა გრანტების ფარგლებში ახალი თემატიკების კვლევები. უნდა აღინიშნოს, რომ წინა პერიოდის შიდასაუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში უკვე დასრულდა აეროდინამიკური მილის მოდერნიზაცია, რომელიც სასწავლო პროცესში უკვე აქტიურად გამოიყენება, კერძოდ, შემუშავდა 7 ლაბორატორიული სამუშაო. სტუდენტები ამზადებენ პატენტებს. აღნიშნული მილის მუშაობის პრინციპი სადემონსტრაციოდ ნანახი იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. აქ ჩატარებული ექსპერიმენტები გამოიყენება სასწავლო პროცესში. 2022 წლის შემდგომ სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ბაზაზე უნივერსიტეტი ახორციელებს 2 სამეცნიერო-კვლევით პროექტს. უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო კვლევით გრანტებში ჩართული არიან დოქტორანტურის სტუდენტები, ასევე, ზოგიერთ აქტივობებში ბაკალავრიატის და მაგისტატურის სტუდენტების მცირე რაოდენობაც. ამჟამად ისინი აქტიურად მუშაობენ ილუსტრირებული საავიაციო დარგობრივი ლექსიკონის შემუშავებაზე. აქტივობა შეიმჩნევა სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველსაყოფადაც, კერძოდ, მოიწვიეს 2 უცხოელი პერსონალი, რათა კვლევები გახადონ საერთაშორისო და გაიზიარონ მათი გამოცდილება. ასევე, მჭიდრო კავშირია დამსაქმებლებთან, სადაც საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება კვლევები, ასეთია, მაგალითად, „დელტას“ და „თბილავიამშენის“ ბაზაზე განხორიელებული კვლევების ნაწილები. სტუდენტები მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. აფილირებული პერსონალისთვის კვლევა შედის მათ სამუშაო დატვირთვაში. საანგარიშო პერიოდში საგრძნობლად გაზრდილია მათი კვლევით საქმიანობაში ჩართულობა, თუმცა უფრო მეტი ადგილობირივი თუ საერთაშორისო კვლევითი გრანტების მოზიდვაა საჭირო, სადაც მეტი აკადემიური პერსონალი იქნება ჩართული.

სსუ-ს დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში განსაზღვრულია პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები, ნაშრომი ხელმძღვანელის მოთხოვნები, სადისერტაციო საბჭოს ფუნქციონირებისა და უფლებამოსილების პირობები, თემის წარდგენისა და დაცვის, ასევე შეფასების წესები. უნივერსიტეტმა წარმოადგინა სადოქტორო დისერტაციების დაცვის მაჩვენებელი 2022-2023 წლებში, სადაც ჩანს უცხოელი ხელმძღვანელების თანახელმძღვანელობის სტატისტიკაც, კერძოდ, 8 ადგილობრივ ხელმძღვნელ/თანახელმძღვანელთან ერთად 5 უცხოელი ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი იყო ჩართული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის 2022-2027 წლების სამუშაო გეგმა;
- ახალგაზრდა მკვლევარების მხარდამჭერი ღონისძიებების სია;
- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ანგარიშები;
- დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- დაცული დისერტაციების სტატისტიკა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- მეტი აკადემიური პერსონალის ჩართულობა ადგილობრივ თუ საერთაშორისო კვლევით გრანტებში.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2021 წელს ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გაცემული იქნა შემდეგი რეკომენდაცია „..(სტანდარტი 6.2) საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა აკადემიურ პერსონალს ხელი უნდა შეუწყოს წამყვანი საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტების ექსპერტებთან გრძელვადიანი თანამშრომლობის დამყარებაში...“

რეკომენდაციის მიღებიდან დღემდე, საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტების ექსპერტებთან გრძელვადიანი თანამშრომლობის დამყარების მიზნით, უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები:

• 2023 წელს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ICAO-ს ევროპისა და ჩრდილოეთ ატლანტიკური რეგიონული ოფისის დირექტორს უმასპინძლა, შეხვედრაზე განხილული იყო საავიაციო უნივერსიტეტის, როგორც სტუდენტთა ასევე სამეცნიერო პერსონალის ჩართულობის შესაძლებლობები კვლევით პროექტებში: https://www.facebook.com/photo/?fbid=598572905643783&set=pcb.598573018977105

• 2023 წელს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისა და საერთაშორისო კომპანია "Aeropodium"-ის ორგანიზებითა და "JSSI", "IALGD"-ის მხარდაჭერით გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „საქართველოს ავიაცია: ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე". კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი საავიაციო სექტორისა და საერთაშორისო საავიაციო კვლევითი კომპანიების წარმომადგენლებმა: დიდი ბრიტანეთიდან, არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან, სამხრეთ აფრიკიდან, ირლანდიიდან, ლატვიიდან, ავსტრიიდან, ესტონეთიდან და ყაზახეთიდან, შეხვედრაზე ასევე განხილულ იქნა მომავალი თანამშრომლობის შესაძლებლობები კვლევითი მიმართულებით: https://www.facebook.com/photo/?fbid=594854599348947&set=pcb.594854719348935

• 2022 წელს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო პროექტში „საავიაციო ინჟინერიის საზაფხულო საერთაშორისო სკოლა". პროექტში საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს, ახალგაზრდა მკვლევარებმა, ვარშავაშივე შედგა ინსტიტუციური თანამშრომლობის შესახებ მოლაპარაკებები კვლევის მიმართულებით

https://edu.aris.ge/news/saqartvelos-saaviacio-universitetis-studentebis-monawileobasaertashorisoproeqtshi.html?fbclid=IwAR1KlNN5hluyL57bvDVkESSXuWe8RhYGJbOZX2yhVN2Lsa0xJ_pBJpRJGY0

• 2022 წელს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტსა და კვლევით ორგანიზაცია „ონტარიოს" (კანადა) შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ურთიერთთანამშრომლობის ძირითადი მიზნებია: ერთობლივი სამეცნიერო და ტექნიკური პროექტების განხორციელება; ერთობლივი კვლევის განვითარებისა და სასწავლო ლაბორატორიების შექმნა; უმაღლესი სასწავლებლების ჩართულობა საერთაშორისო კერძო და საჯარო თანამშრომლობაში. https://www.facebook.com/photo/?fbid=7443812735693214&set=pcb.7443833335691154

• 2022 წელს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა რიგის ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციების ინსტიტუტის კვლევის და განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლებს უმასპინძლა. ვიზიტის ფარგლებში გაფორმდა ორმხრივი ხელშეკრულება, რაც „Erasmus +" პროგრამის ფარგლებში მკვლევართა მობილობის შესაძლებლობას ითვალისწინებს: https://www.facebook.com/photo/?fbid=7067424759998682&set=pcb.7067456719995486

• 2022 წელს Erasmus +-ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პოლონეთის ჟეშუვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან მოწვეული იყო საავიაციო ფაკულტეტის პროფესორი, რომელმაც საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტებს ლექცია წაუკითხა, ვიზიტის შედეგად პერსონალური და ინსტიტუციური კავშირები გამყარდა ჟეშუვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტისა და საავიაციო უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის წარმომადგენლებს შორის. https://www.facebook.com/photo/?fbid=7036852429722582&set=pcb.7036858469721978

• საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2021 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამარჯვებულია, გრანტის ფარგლებში განხორციელდა ვიზიტები კოშიცეს ტექნოლოგიურ უნივერსიტეტის და რიგის ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციების ინსტიტუტის კვლევით ცენტრებში, რაც დამატებით შესაძლებლობას იძლევა ინსტიტუციური მიმართულებით ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელების კუთხით. https://www.facebook.com/ssu.edu.ge

• საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის დოქტორანტი შოთა რუსთაველის საქართველოს სამეცნიერო ფონდის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების 2021 საგრანტო კონკურსის გამარჯვებულია, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია კვლევითი ვიზიტის განხორციელება საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის პარტნიორი ვილნიუსის საავიაციო ინსტიტუტის კვლევით ცენტრში

https://ssu.edu.ge/2022/10/26/%e1%83%93%e1%83%9d%e1%83%a5%e1%83%a2%e1%83%9d%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%a2%e1%83%98-%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%9c-%e1%83%99%e1%83%a3%e1%83%ad%e1%83%a3%e1%83%ae%e1%83%98%e1%83%ab/

• 2021 წელს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს, ჩეხეთის ტექნიკურ უნივერსიტეტსა და საფრენოსნო სკოლა F-AIR-ს შორის. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს საქართველოში მიღებული განათლების აღიარება და მის საფუძველზე ჩეხეთის რესპუბლიკაში ევროპული სტანდარტის (EASA) ავიასპეციალისტის ლიცენზიის გაცემა. ასევე, სტუდენტთა და პროფესორმასწავლებელთა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და ერთობლივ კვლევით აქტივობებში მონაწილეობა https://www.facebook.com/photo/?fbid=6013143252093510&set=pcb.6013141752093660

აღსანიშნავია, რომ 2021-2023 წწ-ში დაცულია 2 სადოქტორო დისერტაცია. უცხოელი და ადგილობრივი პროფესორების თანახელმძღვანელობის სტატისტიკის მონაცემების თანახმად დაწესებულებაში დოქტორანტების ხელმძღვანელობაში ჩართულია 3 უცხოელი პერსონალი, ხოლო თანახელმძღვანელობას ახორციელებს 2 უცხოელი პერსონალი. დაწესებულებაში მიმდინარე კვლევით პროექტებში ჩართულია უცხოელი მკვლევარებიც.

დაწესებულებაში 2022 წელს მიღებულია 1 პატენი. ამჟამად დაწესებულებაში მიმდინარეობს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2 პროექტი და Horizone +-ის ერთი პროექტი. აღნიშნულ პროექტებში დაწესებულება მონაწილეობს თანადაფინანსებით. **აღსანიშნავია, რომ** მიმდინარეობს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორივე პროექტის შემთხვევაში საავიაციო უნივერსიტეტი არის წამყვანი ორგანიზაცია და პროექტების განმახორციელებელი ძირითადი პერსონალი ჩართულია ყველა კვლევით აქტივობაში, მათ შორის, სტატიების გამოქვეყნება საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, კვლევითი ვიზიტები, საპატენტო განაცხადების მომზადება, კონფერენციებში აქტიური მონაწილება და საკვლევ თემატიკებთან დაკავშირებულ სხვა აქტივობებში ჩართულობა. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ მიმდინარე წელს მიიღო USAID--ის ორწლიანი პროექტი Enhancement of VET Programmes in Georgian Civil Aviation Sector, რომელშის ასევე მონაწილეობს თანადაფინანსებით. ზოგადად, საანგარიშო პერიოდში დაწესებულების ბიუჯეტში გათვალისწინებული კვლევების, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსება წლიდან წლამდე მზარდია.

ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საანგარიშო პერიოდში, რომელიც საკმაოდ მცირე დროით პერიოდს მოიცავდა (2021 წლიდან დღემდე), დაწესებულებას საგრძნობლად აქვს გააქტიურებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. დაწესებულების კვლევითი საქმიანობა გაძლიერდა უცხოურ კვლევით ორგანიზაციებთან გრძელვადიანი თანამშრომლობისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის კუთხითაც. თუმცა, სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მუშაობა მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოსაქვეყნებლად, რათა მიღწეულ იქნეს მეტი რაოდენობით აკადემიური პერსონალის ჩართულობა, Scopus-სა და Web of Science-ში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებსა თუ საკონფერენციო მასალებში მეტი რაოდენობით პუბლიკაციების გამოქვეყნება და პუბლიკაციების მაღალი ციტირების ინდექსების მოპოვება.

-**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**
-დაწესებულების ვებ-გვერდი https://ssu.edu.ge/
-სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
-ახლგაზრდა მკვლევრების მხარდამჭერი ღონისძიებები (2021-2023 წწ.)
-სამეცნიერო-კვლევითი-ცენტრის-დებულება
-პერსონალის-მართვის-პოლიტიკა
-აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის წესი
-სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ანგარიშები (2021-2022 წწ.)
-სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამუშაო გეგმა (2022-2027 წწ.)
-სადოქტორო დისერტაციების დაცვის მაჩვენებელი (2021-2023 წწ.)

-დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება
-უცხოელი და ადგილობრივი პროფესორების თანახელმძღვანელობის სტატისტიკა (2021-2023 წწ.)
-პერსონალის განვითარებისთვის ჩატარებული აქტივობები
-პერსონალის სამეცნიერო საქმიანიობის ამსახველი ინფორმაცია
-პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობაზე შეფასების ფორმა
-პერსონალის შეფასების კითხვარები
-პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანგარიში
-კვლევითი აქტივობები საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის პერსონალის ჩართულობით
-მიმდინარე კვლევითი პროექტების შესახებ წარმოდგენილი მასალები
-კვლევით პროექტებში დაწესებულების თანადაფინანსების წერილები
-USAID--ის ორწლიანი პროექტის საპროექტო განაცხადი
-აკადემიური პერსონალის შეფასების ანალიზი (2022 წ.)
- საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების განხორციელებული აქტივობები
- საერთაშორისო ურთიერთობების ანგარიში
- უცხოურ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები
- საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები
-საერთაშორისო კონფერენციებში ჩართულობა
-მიღებული პატენტები
-სტუდენტური თვითმმართველობის მიერ განხორციელებული პროექტები 2022 წლიდან
-დაწესებულების 2023 წლის ბიუჯეტი
-შემოსავლების და ხარჯების დინამიკა
-კვლევების დაფინანსების შიდა საუნივერსიტეტო საქმიანობის წესი
-დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციულ/აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
-ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია გაძლიერდეს მუშაობა მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოსაქვეყნებლად, რათა მიღწეულ იქნეს მეტი რაოდენობით აკადემიური პერსონალის ჩართულობა, Scopus-სა და Web of Science-ში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებსა თუ საკინფერენციო მასალებში მეტი რაოდენობით პუბლიკაციების გამოქვეყნება და პუბლიკაციების მაღალი ციტირების ინდექსების მოპოვება.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის აკადემიური დატვირთვის პრინციპები, აკადემიური და ადმინისტრაციული კადრების შეფასება, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასების პროცედურა, აკადემიური პერსონალის შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად. შეფასების პროცესს წარმართავს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, ფაკულტეტთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი რეგულარულად ახორციელებს აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შეფასებას. მაგალითად, ბოლო შეფასება მოიცავს 2021-2022 სასწავლო წელს. აკადემიურ პერსონალს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დაეგზავნათ კითხვარები. შეფასება განხორციელდა შემდეგი კრიტერიუმებით: 1. სწავლება; 2. კვლევითი და საგრანტო საქმიანობა; 3. მონაწილეობა სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციებში, შეხვედრებში; 4. სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება; 5. პროფესიული ორგანიზაციის წევრობა; 6. საკონსულტაციო-საექსპერტო-სარედაქციო მოღვაწეობა; 7. შეფასებები, აღიარება; 8. ადმინისტრაციული საქმიანობა. (აღნიშნული კრიტერიუმები თავის მხრივ მოიცავს რამდენიმე ქვეკრიტერიუმს). პერსონალის მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასების კითხვარი, სადაც პერსონალის თითოეული სასწავლო თუ სამეცნიერო აქტივობა იზომება შესაბამის კოეფიციენტებსა და საათებში. ერთი წლის განმავლობაში პერსონალის მიერ დაგროვებული ჯამური საათების სარეკომენდაციო რაოდენობაა 1600 საათი. სამეცნიერო კვლევითი ცენტრი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ზემოთ მითითებული მექანიზმებით მოძიებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე აფასებს აკადემიური პერსონალის საქმიანობის კრიტერიუმებს აკადემიური პერსონალის შეფასების ფორმის საშუალებით და გამოსცემს შეფასების ანგარიშს, რომლის საფუძველზეც ხდება სათანადო ღონისძიებების დასახვა და გატარება შეფასების შედეგების მართვის ქვეთავში აღწერილი პროცედურის შესაბამისად. მაგალითად ბოლო პერიოდში ჩატარებული შეფასების შედეგები შემდეგნაირია: 1. 1600 სთ და მეტი დააგროვა 4-მა აკადემიურმა პერსონალმა; 2. 1000 სთ-დან – 1600 სთ-მდე დააგროვა 5-მა აკადემიურმა პერსონალმა; 3. 500 სთ-დან – 1000 სთ-მდე დააგროვა 7-მა აკადემიურმა პერსონალმა; 4. 100 სთ-დან – 500 სთ-მდე დააგროვა 6-მა აკადემიურმა პერსონალმა; 5. 100 -მდე რაოდენობის საათები არცერთმა აკადემიურმა პერსონალმა დააგროვა (სულ შეფასდა 22 პერსონალი). ამასთან, აკადემიურ პერსონალს უტარდებათ ატესტაცია 5 წელიწადში ერთხელ, რითაც ფასდება პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობა ბოლო 5 წელიწადში. ატესტაციას დაქვემდებარებული დასაქმებულები არიან პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და მთავარი მეცნიერი თანამშრომელი. განსაზღვრულია ატესტაციის კრიტერიუმები, რომელთაც მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულები. **ატესტაციას დაქვემდებარებულმა პირმა ქულების საერთო რაოდენობა უნდა დააგროვოს წარმოდგენილი 8 კომპონენტიდან (სასწავლო პროგრამის შემუშავება, ახალი სილაბუსების შემუშავება, სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა, სამეცნიერო - აკადემიური მოღვაწეობა,საკონსულტაციო - საექსპერტო-სარედაქციო მოღვაწეობა, სამეცნიერო წერილის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს რეცენზენტობა, კვალიფიკაციის მიმნიჭებელ საბჭოში მოღვაწეობა,შეფასებები, აღიარება) მინიმუმ 4 კომპონენტით.** ატესტაციის შედეგების მიხედვით პერსონალი ფასდება შემდეგნაირად: „...ა) შეესაბამება დაკავებულ თანამდებობაზე წაყენებულ მოთხოვნებს - პროფესორის/მთავარი მეცნიერ თანამშრომლისათვის - 71 ქულიდან ზემოთ; - ასოცირებული პროფესორისათვის - 61 ქულიდან ზემოთ; ბ) ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობაზე წაყენებულ მოთხოვნებს - პროფესორის/მთავარი მეცნიერ თანამშრომლისათვის - 61 ქულიდან 71 ქულამდე; - ასოცირებული პროფესორისათვის - 51 ქულიდან 61 ქულამდე; გ) არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობაზე წაყენებულ მოთხოვნებს - პროფესორის/მთავარი მეცნიერ თანამშრომლისათვის - 60 ქულამდე; - ასოცირებული

პროფესორისათვის - 50 ქულამდე; - 1 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ ვერ მიიღო ამ მუხლის მეორე პუნქტის ა ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასება...“. უნდა აღინიშნოს, რომ არ არის დადგენილი მინიმალური მოთხოვნა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის, თუ რა ჩაითვლება დამაკმაყოფილებელ საქმიანობად დროის გარკვეულ პერიოდში (მაგალითად, წელიწადში რა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების კომბინაციით უნდა იქნეს მოპოვებული კოეფიციენტის/საათების/ქულების და სხვ. მინიმალური რაოდენობა, რათა კვლევითი საქმიანობა დამაკმაყოფილებლად იქნეს მიჩნეული). მინიმალური სამეცნიერო სტანდარტის დადგენა საჭიროა იმისთვის, რომ თეორიულადაც კი გამოირიცხოს შანსი, რომ ატესტაციის გავლისთვის საჭირო ქულების დაგროვების საშუალება არსებობდეს ატესტაციის კრიტერიუმებიდან მე-4 კრიტერიუმის - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გარეშე. მინიმალური სამეცნიერო სტანდარტის შემოღება გაზრდის პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - დაწესებულების ვებ-გვერდი https://ssu.edu.ge/ - აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების კითხვარი - აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ყოველწლიური შეფასების ანალიზი (2021-2022 წწ.) - პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანგარიში - პერსონალის სამეცნიერო საქმიანიობის ამსახველი ინფორმაცია - პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობაზე შეფასების ფორმა - სამეცნიერო-კვლევითი-ცენტრის-დებულება - პერსონალის-მართვის-პოლიტიკა - აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის წესი - სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ანგარიშები (2021-2022 წწ.) - ატესტაციის ჩატარების წესი - ატესტაციის ბრძანებები - ატესტაციის შედეგები - დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციულ/აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები; - ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.
რეკომენდაციები:
რჩევები: - კვლევითი საქმიანობის ეფექტურობისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით სასურველია, დადგინდეს მინიმალური მოთხოვნა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის (მინიმალური სამეცნიერო სტანდარტი), თუ რა ჩაითვლება დამაკმაყოფილებელ საქმიანობად დროის გარკვეულ პერიოდში (მაგალითად, დროის რა პერიოდში რა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების კომბინაციით უნდა იქნეს მოპოვებული კოეფიციენტის/საათების/ქულების და სხვ. მინიმალური რაოდენობა, რათა კვლევითი საქმიანობა დამაკმაყოფილებლად იქნეს მიჩნეული).
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სსუ-ს მფლობელობაშია 2 სასწავლო შენობა თბილისში, ქეთევან დედოფლის გამზირ N16-ში, ასევე თელავში აეროპორტ „მიმინოს“ ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, სადაც მიმდინარეობს საფრენოსნო და საინჟინრო მიმართულებებზე სტუდენტთა პრაქტიკული სწავლება. ასევე, ამ ტერიტორიაზე არის შენობა თეორიული სწავლებისთვის, საერთო საცხოვრებელი, თვითმფრინავების ანგარი და 5 საფრენი აპარატი. უნდა აღინიშნოს, ხელშეკრულების საფუძველზე უნივერსიტეტი უახლოეს ხანში იტალიიდან ელოდება 700 00 ევროს ღირებულების 3 საფრენ აპარატს, რომელთა შეძენა უკვე განხორციელდა. ექსპერტთა ვიზიტის დროს მოხდა მატერიალურ-ტენიკური ბაზის დათვალიერება ადგილზე, მათ შორის თელავის ბაზაზე და თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, სადაც ბოინგი 737-200 საჰაერო ხომალდზე მიმდინარეობდა საინჟინრო სამუშაოები სტუდენტების მიერ უცხოელი სუპერვაიზორის თანხლებით. რიგ შემთხვევებში პრაქტიკული სამუშაოების ჩატარების მიზნით გაფორმეულია მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან. სწავლებისთვის და პრაქტიკული კომპონენტისთვის სსუ-ს აქვს სასწავლო აუდიტორიები, სადაც დამონტაჟებულია პროექტორები. არსეობობს ლაბორატორიული ბაზები, რომელთა განახლებას ცდილობს უნივერსიტეტი, თუმცა ჯერ კიდევ არის საჭირო როგორც აუდიტორიების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ასევე ლაბორატორიული ბაზების გათანამედროვება, მათი ეტაპობრივი განახლება, განსაკუთრებით ინჟინერიის მიმართულებით. წინა რეკომენდაციებიდან გათვალისწინებულია და ყველა ლაბორატორიულ დანადგართან გამოკრულია ინსტრუქციები, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე. სტუდენტური სივრცეების მოწყობა და სტუდენტთა საცხოვრებლის არსებობა ასევე წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელი გეგმის ნაწილს. დაწესებულებას აქვს ცენტრალური გათბობის სისტემა, არის სველი წერტილები, მათ შორის შშმ პირებისთვის. დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები. დაწესებულებას აქვს ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა, რომლის ვადაც შემოწმდა ექსპერტთა მიერ. შენობაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. დაწესებულებას ეზოში აქვს სპორტული მოედანი და საპარკინგე ადგილი. ბოლო პერიოდში ეზოში მოეწყო სტუდენტური სივრცე. ასევე, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მოწყობის პროცესში იყო ერთ-ერთი სასწავლო ლაბორატორია, სადაც თვითფრინავის ძრავის მონტაჟი მიმდინარეობდა. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ტრენინგ ცენტრი, რომელიც სხვა სასწავლო ლაბორატორიებთან ერთად აღჭურვილისა საჰაერო ხომალდისა და ვერტმფრენის საფრენი თანამედროვე სიმულატორით.

სსუ-ს სასწავლო კორპუსში აქვს ლიფტი და ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის. დაწესებულებას იცავს უსაფრთხოების სამსახური. შენობისა და მისი პერიმეტრის მონიტორინგი ხდება სათვალთვალო კამერებით.

გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ანგარის (სადგომის) ბაზაზე უზრუნველყო გასახდელი ოთახის მოწყობა შესაბამისი ავეჯით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

-ძირითადი საშუალებების ნუსხა;

- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;

- მემორანდუმები პრაქტიკის ობიეტებთან;

- დასკვნა სახანძრო უსაფრთხოებაზე;

- ვიზიტის შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები:

- სასურველია ინჟინერიის მიმართულებით ლაბორატორიული ბაზების კიდევ უფრო გათანამედროვება.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სათანადო ინფორმაციით უზრუნველყოფის მიზნით, საავიაციო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის მუშაობას ხელმძღვანელობს და წარმართავს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი. ბიბლიოთეკა შედგება სამკითხველო დარბაზისაგან, პერსონალისთვის გამოყოფილი სივრცისაგან, და შეხვედრებისა და ჯგუფური სამუშაოებისთვის განკუთვნილი სივრცისაგან. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით, ასლის გადამღები მანქანით და სკანერით, უზრუნველყოფილია ინტერნეტთან წვდომა. ბიბლიოთეკით სარგებლობის უპირატესი უფლებით სარგებლობს სტუდენტი, ხოლო შემდგომ აკადემიური პერსონალი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს

რამდენიმე ათასამდე საბიბლიოთეკო ერთეულს, რომელიც სისტემატიურად მდიდრდება უნივერსიტეტის მიერ შეძენილი ახალი წიგნებით, ბიბლიოთეკის ფონდი, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული, შეესაბამება სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას, ლიტერატურის ძირითადი ნაწილი ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზეა. უნივერიტეტის მეილის მეშვეობით შესაძლებელია წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე. უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდზე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგი. ელექტრონული სამეცნიერო ბაზები ,როგორიცაა Scopus, science direct და სხვა საინჟინრო და საავიაციო სასწავლო ლიტერატურის მოსაძიებელი დამხმარე ლინკები. ვებ-გვერზე განთავსებულია Scival Funding (Funding Institutional) მკვლევარებისთვის დაფინანსების სქემებისა და შესაძლებლობების მოძიების დამხმარე ინსტრუმენტი. ასევე, სამენოვანი სამეცნიერო ჟურნალი "საჰაერო ტრანსპორტი" (მასალა ხელმისაწვდომია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - ვიზიტზე ჩატარებული გასაუბრებების შედეგები; - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დებულება; - ელექტრონული კატალოგი; - ბიბლიოთეკის ელექტრონული მონაცემთა ბაზის გამოყენების სტატისტიკა; - უნივერსიტეტის ბიუჯეტი; - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი გზაკვლევი სტუდენტებისთვის;
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.3 საინფორმაციო რესურსი
○ უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. ○ ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. ○ უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სსუ აღჭურვილია სასწავლო პროცესისათვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, სწავლებისთვის გამოყოფილია 2 კომპიუტერული კლასი. ის გამოცდები, რომლებიც ტარდება კომპიტერზე, არ ტარდება

საგამოცდო ცენტრში და ისინიც ამ კომპიუტერულ კლასებშია განაწილებული. აუდიტორიები აღჭურვილია პროექტორებითა და კომპიუტერით, არის ინტერნეტზე უწყვეტი წვდომა.

უნივერსიტეტში დანერგილია მართვის ელექტრონული სისტემა. ფუნქციონირებს სტუდენტთა ელექტრონული პორტალი http://students.av.ini.ge/, უნივერსიტეტის ვებ გვერდზე მისი გამოყენების წესებია ატვირთული. ამ პორტალით სტუდენტებს მიეწოდებათ მასალები, ინფორმაცია, შეფასებები.

სსუ იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას.

უნივერსიტეტის ვებგვერდია: https://ssu.edu.ge/ . ვებგვერდი ორენოვანია, თუმცა ინგლისური ვერსია ჯერ კიდევ საჭიროებს დახვეწას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპიუტერები 2020-2023;
- ნოუთბუქები 2020-2023;
- პრინტერები 2020-2023;
- ვებ გვერდი;
- ვიზიტის შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები:

-სასურველია ვებ გვერდის ინგლისურენოვანი გვერდის მეტად შესაბამისობა ქართულენოვან გვერდთან.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების შემოსავლების ძირითადი წყარო მისი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებია: ძირითად შემოსავალს წარმოადგენს სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური.

ამასთან, შემოსვლების ფორმირებაში მონაწილეობს გრანტებიდან მიღებული თანხები, ტრენინგ ცენტრის შემოსავლები, იჯარიდან მიღებული შემოსავლები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტში მოცემული პრიპორიტეტები განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული და დაგეგმილი საქმიანობების შესაბამისად.

დაწესებულების ბიუჯეტში კვლევებზე გამოყოფილი დაფინანსება მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 1,8%-ია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება ახორციელებს უცხოური თუ ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტების თანადაფინასნებას. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ამჟამად დაწესებულებაში მიმდინარეობს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2 პროექტი და Horizone +-ის ერთი პროექტი. აღნიშნულ პროექტებში დაწესებულება მონაწილეობს თანადაფინანსებით. დაწესებულებამ მიმდინარე წელს მიიღო USAID--ის ორწლიანი პროექტი Enhancement of VET Programmes in Georgian Civil Aviation Sector, რომელშის ასევე მონაწილეობს თანადაფინანსებით. ზოგადად, საანგრიშო პერიოდში დაწესებულების ბიუჯეტში გათვალისწინებული კვლევების, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსება წლიდან წლამდე მზარდია. მიუხედავად ამისა, სასურველია, გაიზარდოს კვლევების დაფინანსებაზე გამოყოფილი საბიუჯეტო თანხები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულების ვებ-გვერდი https://ssu.edu.ge/
- დაწესებულების 2023 წლის ბიუჯეტი
- კვლევების დაფინანსების შიდა საუნივერსიტეტო საქმიანობის წესი
- შემოსავლების და ხარჯების დინამიკა
- კვლევით პროექტებში დაწესებულების თანადაფინანსების წერილები
- დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციულ/აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
- ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

რეკომენდაციები:

რჩევები:

- სასურველია, გაიზარდოს კვლევების დაფინანსებაზე გამოყოფილი საბიუჯეტო თანხები.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან